COVID-19 და სოციალური გამოწვევების დაძლევის გზები საქართველოში

ირაკლი ზარძუა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

კორონავირუსის (COVID-19) კრიზისმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოქალაქეების და ბიზნესის ყოველდღიურ ცხოვრებაში უზარმაზარი რღვევები წარმოქმნა. მთავრობებს მოუწიათ რეაგირება უპრეცედენტო გზებით, ვინაიდან კრიზისმა მოითხოვა დაჩქარებული საპასუხო ზომების გატარება. იძულებითმა „ჩაკეტვის" ღონისძიებებმა ეკონომიკური გამოწვევები გაამძაფრა და აშკარად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური და სოციალური სიმტკიცის გამტარებელს, განსაკუთრებული როლი აკისრია შექმნილ ვითარებაში. ნაშრომში აღნიშნულია, რომ პანდემიით გამოწვეულმა იძულებითმა შეზღუდვებმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე და ჯანდაცვის უსაფრთხოების უმწვავესმა პრობლემებმა ეკონომიკური მიმართულებით დათმობების იძულება განაპირობა; ამასთან, განხილულია პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მოქალაქეთა და ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით; ნაშრომში ადგილი ეთმობა 2021 წლის ბიუჯეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტებსა და დაფინანსებას, რომელიც პანდემიის შექმნილ გარემოებას ითვალისწინებ.

ძირითადი ტექსტი

კორონავირუსის (COVID-19) კრიზისმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოქალაქეების და ბიზნესის ყოველდღიურ ცხოვრებაში უზარმაზარი რღვევები წარმოქმნა. მთავრობებს მოუწიათ რეაგირება უპრეცედენტო გზებით, ვინაიდან კრიზისმა მოითხოვა დაჩქარებული საპასუხო ზომების გატარება. იძულებითმა „ჩაკეტვის" ღონისძიებებმა ეკონომიკური გამოწვევები გაამძაფრა და აშკარად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური და სოციალური სიმტკიცის გამტარებელს, განსაკუთრებული როლი აკისრია შექმნილ ვითარებაში. აუცილებელი გახდა მთავრობების მხრიდან სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტური რეაგირების აუცილებლობა. სწრაფად ცვალებად გარემოებებთან ადაპტირება და სათანადო გადაწყვეტილების მიღება შედეგიანი სამთავრობო პოლიტიკის უმთავრესი წინაპირობა გახდა. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთო პრობლემების და ერთგვარი საპასუხო ქმედითი ზომების გატარების აუცილებლობასთან ერთად, ცხადი გახდა ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების უპირატესობა ეფექტიანი პოლიტიკის გასატარებლად. ამასთან, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მიუთითებს, კრიზისის შედეგები მოითხოვს მუდმივ კორექტირებას, რეაგირებას და პოლიტიკის რეფორმებს მთავრობებისგან (The Covid-19 Crisis, 2020).

ეკონომიკური განვითარება არსებითად დამოკიდებული გახდა აღნიშნული ვირუსის და მისი სხვადასხვაგვარი გამოვლინების დაძლევაზე. მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. ამიტომ, ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც მთავრობა დგამს, განპირობებულია უპირველესად ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის (StopCov.ge კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია).

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომი-

კაზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და ეს განსაკუთრებით 2019 წელს გამოჩნდა. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა - 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა 3.3 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა 1.5 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%) შეადგინა. აღნიშნულის შედეგად ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ის 5.1% შეადგინა (StopCov.ge კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია). მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდისა და საგარეო სექტორის მონაცემების გაუმჯობესებამ განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილზე მეტად ზრდა. აღნიშნულმა გარემოებით შეიქმნა შესაძლებლობა - სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა კაპიტალურმა ინვესტიციებმა გადააჭარბა მშპ-ის 8%-ს და ამავე დროს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული) დაგეგმილი 2.7%-დან 2%-მდე შემცირდა (StopCov.ge კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია).

პანდემიით გამოწვეულმა იძულებითმა შეზღუდვებმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე და ჯანდაცვის უსაფრთხოების უმწვავესმა პრობლემებმა ეკონომიკური მიმართულებებით დათმობების იძულება განაპირობა.

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა (https://stopcov.ge/ka/Gegma), რომელიც ოთხ ეტაპად განხორციელდა, ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს ეხება და მოიცავს საშემოსავლო გადასახადის გადავადებას; მცირე ზომის სასტუმროების საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის სუბსიდირებას; თვითდასაქმებულებისთვის ერთჯერადი დახმარების გაწევას 300 ლარის ოდენობით; დასაქმებულების შესანარჩუნებლად სახელმწიფო სუბსიდიებს დამსაქმებლებისთვის; ტურისტული ინდუსტრიისთვის 2020 წლის ქონების გადასახადის გაუქმებას, 20 მლნ ლარამდე ბრუნვის მქონე განთავსების საშუალებებისთვის 6 თვის პროცენტის სუბსიდირებას; ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერას; ქვეყნის უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებად პოზიციონირებას.

ბოლო, მეოთხე ეტაპზე საქართველოს მთავრობის მიერ გამიზნული მოქალაქეებისა და ბიზნესის მხარდაჭერის პაკეტი (stopcov.ge/ka/daxmarebebi) მოიცავს მოქალაქეებზე ზრუნვის მიმართულებით 545 მლნ ლარს, ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით - 515 მლნ ლარს. კერძოდ:

მოქალაქეებზე ზრუნვა: ბენეფიციართა საერთო რაოდენობა: 500 ათას პირზე მეტი (ამ ციფრებში არ შედის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების მაჩვენებელი)

- კომუნალური ხარჯების სუბსიდირება - 4 თვის (ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით) განმავლობაში განვახორციელებთ კომუნალური ხარჯების სუბსიდირებას (200 კვტ/მ3-მდე მოხმარება). ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 1 მილიონი ოჯახი. ბიუჯეტი 270 მლნ ლარი;
- 1200 ლარიანი დახმარება სამსახურდაკარგული პირებისთვის - ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები, ვინც დროებით დაკარგავს სამსახურს, 2021 წლის იანვრიდან 6 თვის განმავლობაში მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 125,000 პირი. ბიუჯეტი - 150 მლნ ლარი;
- 300 ლარიანი ერთჯერადი დახმარება - გაიცემა 300 ლარიანი ერთჯერადი კომპენსაციები იმ ობიექტებში დასაქმებული პირებისა და ინდ. მეწარმეების სასარგებლოდ, რომელთაც საქმიანობა შეუჩერდებათ დეკემბერსა და იანვარში დაწესებული დამატებითი შეზღუდვების შედეგად. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 100 ათასი. ბიუჯეტი - 30 მლნ ლარი;
- 600 ლარიანი დახმარება - 65-დან 100 ათასი სოციალური ქულის ჩათვლით მყოფი ოჯახები იანვრიდან, თვეში საშუალოდ 100 ლარის ოდენობით (ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით) დახმარებას მიიღებენ 6 თვის განმავლობაში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 72 ათასამდე ოჯახი (220 ათასამდე პირი), ბიუჯეტი - 55 მლნ ლარი;
- 600 ლარიანი დახმარება - 0-დან 100 ათა-

სი სოციალური ქულის ჩათვლით მყოფი ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლამდე ბავშვი, 6 თვის განმავლობაში მიიღებენ თვეში 100 ლარს (იანვრიდან ივნისის ჩათვლით) - 24 ათასი ოჯახი. ბიუჯეტი - 15 მლნ ლარი;

- 18 წლამდე შშმ და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის გაიცემა 600 ლარიანი დახმარება - თვეში 100 ლარი, 6 თვის განმავლობაში. ბენეფიციარების რაოდენობა - 43 ათასი პირი. ბიუჯეტი - 27 მლნ ლარი;
- საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ იმ ობიექტებში დასაქმებულ პირებს, რომელთა საქმიანობა იზღუდება დეკემბერი-იანვრის განმავლობაში.

ბიზნესის მხარდაჭერა:

- საშემოსავლო გადასახადის შეღავათი - 1500 ლარამდე ხელფასის მქონე პირები 750 ლარამდე თანხის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდებიან 2021 წლის დეკემბერი-მაისის პერიოდში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა: 33 ათასი კომპანია და 425 ათასი დასაქმებული. ბიუჯეტი - 260 მლნ ლარი.
- ქონების გადასახადის შეღავათი ტურიზმის სექტორისთვის - ტურიზმის სექტორი (სასტუმროები, რესტორნების და მსგავს საქმიანობაში ჩართული ქონება) 2021 წელს გათავისუფლდება ქონების გადასახადისგან. ბიუჯეტი - 45 მლნ ლარი;
- 2020 წლის 4 თვის გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამოწერა - განხორციელდება ტურიზმის სექტორში (სასტუმროები, რესტორნების და მსგავს საქმიანობაში ჩართული კომპანიები) 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამოწერა. ბიუჯეტი - 20 მლნ ლარი;
- გაგრძელდება სასტუმროების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება, ასევე ამოქმედდება რესტორნების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება 6 თვის განმავლობაში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 3700 კომპანია;
- მიკრო გრანტების პროგრამა - მიმდინარეობს მეწარმეობის მიკრო გრანტების პროგრამა, რომელიც ათასობით ახალ ბიზნესპროექტს დააფინანსებს (2020 წლის პროგრამა). ბიუჯეტი - 40 მლნ ლარი;
- საკრედიტო-საგარანტიო ფონდი - 2021 წელს აქტიურად გაგრძელდება საკრედიტო-საგარანტიო ფონდის მუშაობა, რომელიც დაეხმარება კერძო სექტორს როგორც არსებული სესხების რესტრუქტურიზაციაში, ასევე, ახალი სახსრების მოზიდვაში. ბიუჯეტი - 100 მლნ ლარი;
- საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ იმ კომპანიებს, რომლებსაც შეეზღუდებათ საქმიანობა დეკემბერი-იანვრის პერიოდში.

საერთო ანგარიშით, ახალი პაკეტის მთლიანი ბიუჯეტი 1,1 მლრდ ლარია.

პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ასვე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის გარკვეულ პერიოდებში ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტირებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანაა მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, რაც აისახა 2021 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტებში (საქართველოს 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, 2020):

მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;

საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობებით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის შესაბამისად სახელმწიფო პენსიის ოდენობის დაანგარიშება;

სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით; დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, /დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებისას სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა; საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა; მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის ხელშეწყობა.

აღნიშნული პრიორიტეტების მისაღწევად განისაზღვრა სავარაუდო დაფინანსება (იხ. ცხრილი).

COVID-19-ის ფართომასშტაბიანმა გავრცელებამ არსებითად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ეს მნიშვნელოვნად აისახება ისეთი ღია ეკონომიკის ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა. მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და ეკონომიკური განვითარების პროგნოზების რევიზია და დაზუსტება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. დღეისათვის 2021 წლის საშუალო ეკონომიკური ზრდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 5%-ია, რაც გაუმჯობესდება 2022 წელს 6%-მდე და ეს მაჩვენებელი აღემატება განვითარებული ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს. მაგალითად, იგივე პროგნოზით, 2021 წელს განვითრებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი წელს 3,9%-ია (IMF Datamapper, 2020, November).

ობიექტური გარემოებებით განპირობებული ეკონომიკური შეზღუდვების მიუხედავად ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სამთავრობო პოლიტიკის პრიორიტეტია. ამასთან, განსაკუთრებით პანდემიით გამოწვეულ მიმდინარე ვითარებაზე ადეკვატური რეაგირება და სათანადო სამთავრობო პოლიტიკის გატარება დღის წესრიგში რჩება საჭიროების მიხედვით თითოეული მოქალაქის, მოქალაქეთა ჯგუფის და საერთო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ცხრილი

საქართველოს 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება

დასახელება	2021 წ., ათასი ლარი
მოსახლეობის სოციალური დაცვა	3,579,390.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,103,972.0
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	61,868.0
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	30,000.0
შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	6,860.0
სსიპ - საპენსიო სააგენტო	4,400.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4,280.0
ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0
ჯამი	**4,791,030.0**

წყარო: საქართველოს 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, 2020

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
2. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა (https://stopcov.ge/ka/Gegma)
3. StopCov.ge კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია. Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, საქართველო მთავრობა, 2020, https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf
4. საქართველოს 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართი (2020), ინფორმაცია საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ (პროგრამული ბიუჯეტის დანართი), თბ., 2020
5. IMF Datamapper, 2020, November, https://www.imf.org/external/datamapper/NGDP_RPCH@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD/GEO
6. The Covid-19 Crisis (2020), The Covid-19 Crisis: A catalyst for government transformation? OECD 2020, November,10.

COVID-19 and ways to overcome social challenges in Georgia

Irakli Zarqua, PhD student of GTU

Summary

The coronavirus (COVID-19) crisis has caused huge disruptions in the daily lives of citizens and businesses in all countries of the world. Governments have had to respond in unprecedented ways as the crisis has called for accelerated response. Forced “locked down” measures have exacerbated economic challenges and made it clear, that the state, as a carrier of economic and social resilience, has a special role to play in the current situation. The paper notes that the forced restrictions caused by the pandemic have negatively affected the country’s economy, and acute health security problems have forced economic concessions; In addition, measures taken by the Government of Georgia to support citizens and businesses to overcome the difficulties caused by the pandemic are discussed; The paper focuses on the healthcare and social security priorities and funding for the 2021 budget, which take into account the circumstances created by the pandemic.